აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

2018-2024 წწ. სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი

დამტკიცებულია: ფაკულტეტის

საბჭოს 2018 წ. 12 იანვრის სხდომაზე

ქ. ქუთაისი

2018

შესავალი

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმსხვილესი საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულია, რომლის არსებობა დაიწყო 1991 წელს, საქართველოს დასავლეთ რეგიონში, სამართლისა და ეკონომიკის სფეროებში კვალიფიციურ კურსდამთავრებულებზე არსებული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებად.

ფაკულტეტი დღემდე ინარჩუნებს წამყვან პოზიციას რეგიონის მასშტაბით, აქვს პოტენციალი გახდეს საერთაშორისო სტანდარტების მქონე საგანმანათლებლო-სამეცნიერო კერა, სადაც აკადემიურ პერსონალსა და კურდამთავრებულს (შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში) სოციალურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ სივრცეში საკუთარი ცოდნისა და უნარების სწრაფი რეალიზების შესაძლებლობა ეძლევა.

უქმნის სტუდენტს სწავლა/სწავლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამის პირობებს და ემსახურება კონკურენტუნარიანი და პროფესიონალი კადრების აღზრდას, რაც მიიღწევა კვალიფიცირებული აკადემიური პერსონალის, აღიარებული პრაქტიკოსი სპეციალისტების, პარტნიორი ორგანიზაციების, სპეციალიზირებული კლინიკების, კომპიუტერული კლასების, თემატური აუდიტორიების, ლაბორატორიების, ქვეყნის, რეგიონისა და საერთაშორისო კავშირების მეშვეობით.

ახორციელებს ეკონომიკის და ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის, ხოლო სამართლის და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით საბაკალავრო და სამაგისტრო, მათ შორის, ინგლისურენოვანი „ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში", საგანმანათლებლო პროგრამებს.

2018-2024 წწ. ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა მოიცავს კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის მექანიზმებს თუ როგორ უნდა მიაღწიოს ფაკულტეტმა დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზით და/ან საჭირო დამატებითი რესურების მოძიებით.

სტრატეგილი გეგმა აგებულია - ადამიანური და მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენების, საგანმანათლებლო და კვლევითი პროფილის და გარემო ფაქტორების SWOT ანალიზის საფუძველზე. გეგმაში დასახულია როგორც ადამიანური და მატერიალური რესურსების ადმინისტრირების, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა-განხორციელების, სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის, ისე სოციალური მომსახურების ხარისხის განვითარების გზები.

ფაკულტეტის მისია

ქვეყნის დასავლეთ რეგიონის სამართლებრივი და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის პროფესიონალებისა და ლიდერების მიწოდება არსებული პოზიციის განვითარებით, საერთაშორისო/ეროვნული პარტნიორობის გაღრმავებით, სწავლა/სწავლების და კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესებით.

ფაკულტეტის ხედვა

ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერბათა ფაკულტეტი არის ცნობადი, მრავალპროფილიანი, სტრუქტურული ერთეული, რომელიც სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენებით და თანამედროვე კვლევებზე დაყრდნობით, ემსახურება ქვეყნის და რეგიონის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას და ახალი თაობის აღზრდას მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით.

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი ღირებულებები



ფაკულტეტის საქმიანობის სიტუაციური ანალიზი (SWOT)

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
✓ მოტივირებული ადმინისტრაცია და კვალიფიციური აკადემიური პერსონალი; ✓ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების ორგანიზების გამოცდილება; ✓ სტუდენტთათვის ინოვაციური შემეცნებითი პროექტების ორგანიზების გამოცდილება; ✓ ტუტორიალის გამორჩეულად მაღალ დონეზე ფუნქციონირება; ✓ აკადემიური პერსონალისა და გამორჩეულ სტუდენტთა წახალისების ტრადიცია; ✓ სპეციალიზირებული კლინიკების, კომპიუტერული კლასების, თემატური აუდიტორიების და ლაბორატორიების ფუნქციონირება; ✓ ფინანსურად მდგრადი და მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამები; ✓ კურსდამთავრებულთა შესაბამისი პროფილით დასაქმების მაღალი მაჩვენებელი; ✓ სტუდენტთა შემეცნებითი აქტივობის ტრადიციისა და სხვადასხვა კონკურსებში წარმატების მაღალი მაჩვენებელი; ✓ კურსდამთავრებულების აქტიური ჩართულება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განვითარებაში; ✓ ფაკულტეტის კვლევითი პროფილით აკადემიური პერსონალის გამოცდილება; ✓ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართულობა; ✓ შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის განხორციელება და პერიოდულობა; ✓ სოციალური პასუხისმგებლობა/აქტივობის გამოცდილების არსებობა.	✓ უცხო ენის მცოდნე ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის სიმცირე; ✓ მხოლოდ ერთი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა; ✓ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების არარსებობა; ✓ ინტერნაციონალიზაციის დეფიციტი; ✓ უცხოელი სტუდენტების მცირე რაოდენობა. ✓ კვლევითი პროფილის მიხედვით საგრანტო პროექტების არასაკმარისი რაოდენობა; ✓ აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებულ კვლევებში სტუდენტთა მცირე ჩართულობა; ✓ ინტერნაციონალური და ინტერდისციპლინარული კვლევების არარსებობა; ✓ აკადემიური პერსონალის არასაკმარისი საერთაშორისო ცნობადობა; ✓ ფაკულტეტის სხვადასხვა მისამართზე ფუნქციონირება; ✓ სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებზე მორგებული აუდიტორიების არასაკმარისობა; ✓ ფაკულტეტის საქმიანობის PR კამპანიის ნაკლებობა; ✓ ზამთარი/ზაფხულის თემატური სკოლების არარსებობა.

შესაძლებლობები	საფრთხეები
✓ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა/სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების განვითარება; ✓ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის უცხო ენის კომპეტენციის ამაღლების ღონისძიებების გააქტიურება; ✓ ერთობლივი უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება; ✓ ინგისურენოვანი საგანამანათლებლო პროგრამების საერთაშორისიო აკრედიტაციაზე წარდგენა. ✓ პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ თემატური საჯარო ლეციებისა და მასტერკლასების ჩატარება. ✓ ყოველკვირეული შეხვედრების მოწყობა დამსაქმებლებსა და მეოთხე კურსის სტუდენტებს შორის (პროექტი - „დამსაქმებლის დღე“). ✓ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე ფაკულტეტის საქმიანობის PR; ✓ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა წახალისების მექანიზმების შემუშავება. ✓ ზამთარ/ზაფხულის თემატური სკოლების ორგანიზება; ✓ ფაკულტეტის ერთ მისამართზე განთავსება; ✓ სოციალური პასუხისმგებლობის ზრდა. ✓ საგანამანათლებლო პროგრამების შიდა აუდიტი. ✓ სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებზე მორგებული აუდიტორიების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა; ✓ პოტენციურ დამსაქმებლებთან არსებული ურთიერთობების გაღრმავება; ✓ აკადემიური პერსონალის საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის გააქტიურება და შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის პერიოდულად ორგანიზება; ✓ სტუდენტების საგრანტო კონკურსში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა; ✓ ერთობლივ საერთაშორისო და ეროვნულ	✓ ინფლაცია და ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური დონის ცვლილება; ✓ საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების სისტემის შეცვლა; ✓ დემოგრაფიული მდგომარეობა და აბიტურიენტთა ნაკადის შემცირება; ✓ კვალიფიციური კადრების გადინება.

სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის მიღება; ✓ მიზნობრივი კვლევების განხორციელება პოტენციურ კლიენტებთან აქტიური კამპანიების ჩატარებით. ✓ აკადემიური პერსონალის მიერ ინტერდისციპლინალური კვლევების დაგეგმვა; ✓ აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება. ✓ ერასმუს+ პროექტებში აკადემიური პერსონალის და სტუდენტების ჩართულობის ხელისშეწყობა; ✓ უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების მოწვევა საჯარო ლექციების წასაკითხად; ✓ სოციალური პასუხისმგებლობის გააქტიურება; ✓ სტუდენტთა შემეცნებითი ღონისძიებების გააქტიურება.	

ფაკულტეტის საქმიანობაში ჩართული მხარეები



ფაკულტეტის განვითარების გრძელვადიან (2018-2024 წწ) სტრატეგიას წარმოადგენს ხუთი ძირითადი მიმართულებით განვითარება:



სტრატეგიული მიმართულება I - საგანმანათლებლო პროცესების მართვა

ამოცანა: სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა/საწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების განვითარება.

სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სააუდიტორიო მუშაობის მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სისტემატიური გადამზადება სწავლა/საწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებში.

შედეგი: სააუდიტორიო მუშაობის დროს დანერგილია სწავლა/საწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები.

ამოცანა: ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის უცხო ენის კომპეტენციის ამაღლების ღონისძიებების გააქტიურება;

სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტის ბიუჯეტიდან მოხდება ადმინისტრაციის წარმომადგნლების და აკადემიური პერსონალის უცხო ენის კომპეტენციების ამაღლების დაფინანსება.

შედეგი: უცხო ენის მცოდნე ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი.

ამოცანა: ერთობლივი უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება.

სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტი ერთობლივი პროგრამის შექმნის მიზნით აწარმოებს მოლაპარაკებას კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტთან. აღნიშნულთან დაკავშირებით ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება 2018 წლის თებერვალში(უნივერსიტეტის 85 წლის იუბილის ღონისძიებების ფარგლებში). ერთობლივ პროგრამაზე მუშაობა მიმდინარეობს ელექტრონულ რეჟიმში. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება ექნება ნებისმირი ქვეყნის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომლებიც პირველი სემესტრი ისწავლიან ან საქართველოში, ან კიევში (მათი სურვილის გათვალისწინებით), მეორე სემესტრი - კიევში, მესამე სემესტრი - საქართველოში და მეოთხე სემესტრი სამაგისტრო ნაშრომზე კვლევას განახორციელებნ სამაგისტრო თემის შესაბამისად. კურსდამთავრებულს მიეცემა ორმაგი დიპლომი.

ფაკულტეტს, ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დაგეგმილი აქვს უცხოელი სპეციალისტების ჩართულობით შექმნას „ფინანსების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამები. პროგრამების შემქნაში ადგილობრივ აკადემიურ პერსონალთან ერთად ჩართული იქნებიან უცხოელი სპეციალისტები და კურსდამთავრებულები, რომლებიც საჯარო და კერძო სექტორში არიან დასაქმებული სხვადასხვა პოზიციებზე.

შედეგი: შემუშავებული და აკრედიტირებულია „ფინანსების" სამაგისტრო პროგრამა.

ამოცანა: ინგისურენოვანი საგანამანათლებლო პროგრამების საერთაშორისიო აკრედიტაციაზე წარდგენა.

სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტს, პროგრამის განვითარების მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია საერთაშორსიო ექსპერტების მოსაზრებების გათვალისწინება. გამომდინარე აღნიშნულიდან, 2020-2021 სასწავლო წელს საერთაშორისო აკრედიტაციაზე წარადგენს ამჟამად ფუნქციონირებად ინგისურენოვან სამაგისტრო პროგრამას - „ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში".

ამასთან, ფაკულტეტი აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს სხვადასხვა ქვეყნის აკადემიური წრის წარმომადგენლებთან ერთობლივი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის შესახებ და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ახალი პროგრამაც წარდგენილი იქნება საერთაშორისო აკრედიტაციაზე.

შედეგი: საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით აკრედიტებული საგანამანათლებლო პროგრამები.

ამოცანა: ფაკულტეტის ერთ მისამართზე ფუნქციონირება და სწავლა/სწავლების თანამედროვე მოთხოვნებზე ადაპტირებული სასწავლო აუდიტორიების მოწყობა.

სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტი გეგმავს 2018-2019 სასწავლო წლისთვის სასწავლო პროცესი განახორციელოს მხოლოდ თამარ მეფის 59-ში განთავსებულ კორპუსებში. აღნიშნულის განხორციელების შანს იძლევა მეორე კორპუსში განთავსებული საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა გადავა ახალაშენებულ საბიბლიოთეკო კორპუსში და გამოთავისუფლებულ ფართს აითვისებს ფაკულტეტი. გამოთავისუფლებული ფართის რემონტისა და თანამედროვე სასწავლო პროცესზე ადაპტირებული აუდიტორიების მოწყობის ხარჯები გაიწევა ფაკულტეტის საკუთარი ხარჯვითი ლიმიტიდან.

ამასთან, ფაკულტეტის ხარჯვითი ლიმიტის ფარგლებში მოხდება პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ადაპტირებული პირველი კორპუსის 5 და მეორე კორპუსის 14 აუდიტორიის მოწყობა, სადაც კომპიუტერულ ტექნიკასთან ერთად განთავსებული იქნება ინდივიდუალური მერხები და სკამები. გარდა ამისა, მოეწყობა „მრგვალი მაგიდის" პრინციპით და ინდივიდუალური სკამებით უზრუნველყოფილი სადისკუსიო კლუბი.

შედეგი: ფაკულტეტი ფუნქციონირებს ერთ მისამართზე და აუდიტორიები მორგებულია სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებზე.

ამოცანა: პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ თემატური საჯარო ლეციებისა და მასტერკლასების ჩატარება.

სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტი გეგმავს როგორც სამეცნიერო დაწესებულებებიდან, ისე საჯარო და კერძო სექტორიდან პროფესიონალების მოწვევას საჯარო ლექციებისა და "მასტერკლასების" ჩასატარებლად. აღნიშნულის გამოცდილება ფაკულტეტს გააჩნია, თუმცა, აუცილებელია სისტემატიური ხასიათი მიეცეს მას.

შედეგი: სისტემატიურად ტარდება საჯარო ლექციები და მასტერკლასები.

ამოცანა: ყოველკვირეული შეხვედრების მოწყობა დამსაქმებლებსა და მეოთხე კურსის სტუდენტებს შორის (პროექტი - „დამსაქმებლის დღე").

სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტი პერიოდულად ატარებს დამსაქმებლის დღეს, რაც ითვალისწინებს როგორც საჯარო, ისე ბიზნესსექტორის წარმომადგენლების ვიზიტს უნივერსიტეტში და მეოთხე კურსელებთან შეხვედრას. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში დამსაქმებლები მართავენ დისკუსიას სტუდენტებთან, აცნობენ დასაქმების ობიექტის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას, მათ მიერ წარმატების მიღწევის საიდუმლოს და აძლევენ შანს მიიღონ მონაწილეობა გამოცხადებულ ვაკანსიებში.

თუმცა, ფაკულტეტი თვლის, რომ ამ შეხვედრებს მიეცეს ყოველკვირეული ხასიათი, განსაკუთრებით დასაქმების ობიექტებში სტუდენტების ვიზიტს ადგილზე გაცნობის მიზნით.

შედეგი: ყოველკვირეული შეხვედრები დამსაქმებლებსა და მეოთხე კურსის სტუდენტებს შორის (პროექტი - „დამსაქმებლის დღე").

ამოცანა: როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე ფაკულტეტის საქმიანობის პიარ-მენეჯმენტის მექანიზმის შემუშავება და ამოქმედება.

სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტი მიზანშეწონილად თვლის საგანმანათლებლო პროგრამების პიარზე გაამახვილოს ყურადღება, განსაკუთრებით ქვეყნის დასავლეთ რეგიონის საჯარო სკოლებში მაღალი მოსწრების მოსწავლეების მოზიდვის მიზნით. მჭიდრო და ეფექტური ურთიერთობა დაამყაროს საჯარო სკოლის დირექტორებთან, დაარსოს „დირექტორთა კლუბი", რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებისთვის რეგულარულად მოეწყობა სხვადსხვა შემეცნებითი, საინფორმაციო და გასართობი ღონისძიებები.
აღნიშნულთან დაკავშირებით გეგმავს სარეკლამო რგოლების დამზადებას და სტუდენეტბის ჩართულობით პრეზენტაციებს როგორც საჯარო სკოლებში, ისე სოციალური ქსელებით.
ამასთან, მიზანშეწონილად თვლის ფაკულტეტი მის მიერ განხორციელებული შემეცნებითი აქტივობების სისტემატიურ გააშუქებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

შედეგი: შემუშავებულია და მოქმედებს ფაკულტეტის საქმიანობის პიარ-მენეჯმენტის მექანიზმი.

ამოცანა: პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა წახალისების მექანიზმების შემუშავება.

სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია წახალისების სისტემის დანერგვა იმ პერსონალის მიმართ ვინც დამატებით დროს და ენერგიას ახმარს ფაკულტეტის განვითარებას, ვინც ფაკულტეტს ცნობადს გახდის საერთაშორისო დონეზე, ვინც მოიზიდავს უცხოელ სტუდენტებს და ა.შ.

ასევე, იმ სტუდენტების მიმართ, ვინც განსაკუთრებულ უნარებს ავლენენ და სხვადასხვა შემეცნებით ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობენ.

შედეგი: შემუშავებულია და მოქმედებს პროფესორ-მასწავლებელთადა სტუდენტთა წახალისების სისტემა.

ამოცანა: უფასო თემატური სკოლების (ზამთარი/ზაფხული) დაარსება და ფუნქციონირება.

სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტს გეგმავს შექმნას და აამოქმედოს ზამთარ/ზაფხულის უფასო თემატური სკოლები სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის, რაც ხელს შეუწყობს როგორც აბიტურიენტების დაინტერესებას ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებით, ისე სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტების მოზიდვას მობილობის წესით ჩასარიცხად. აღნიშნულთან დაკავშირებით ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს შესწევს უნარი შექმნას თემატური ტრენინგ-მოდულები სხვადასხვა მიმართულებით და უფასოდ ჩაუტაროს სკოლის მოსწავლეებს.

შედეგი: უფასო თემატური სკოლების (ზამთარი/ზაფხული) ფუნქციონირების საფუძველზე გაიზრდება ზოგადად ფაკულტეტის ცნობადობა, საგანმანათლებლო პროგრამებით დაინტერესებული აბიტურიენტების რიცხოვნობა და მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა.

ამოცანა: სოციალური პასუხისმგებლობის ზრდა.

სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტზე ფუნქციონირებს იურიდიული კლინიკა, რომელიც ეწევა უფასო კონსულტაციებს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ამასთან, 2018 წლიდან ამოქმედდება 2017 წ. დაფუძნებული „მედიაციის კლინიკა".
2018 წ. ფუნქციონირებას იწყებს „ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრი". ცენტრის საქმიანობის მიზანია საქართველოს დასავლეთ რეგიონში, განსაკუთრებით, იმერეთის რეგიონში (სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში) ბიზნესით დაინტერესებულ პირთათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.
შედეგი: გაზრდილია ფაკულტეტის სოციალური პასუხისმგებლობის დონე.

ამოცანა: საგანამანათლებლო პროგრამების შიდა აუდიტი.
სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატიურად ატარებს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლა/სწავლების

პროცესის მონიტორინგს და პრობლემების აღმოჩენის შემთხვევაში ოპერატიულად რეგირებს სხვადასხვა მეთოდებით (მათ შორის, დამსაქმებლების პერიოდული გამოკითხვა)

შედეგი: საგანმანათლებლო პროგრამები რელევანტურია, სასწავლო პროცესების მიმდინარეობით კმაყოფილი არიან სტუდენტები, გაზრდილია აკადემიური მოსწრების დონე და კურსდამთავრებულების დასაქმება უფრო რეალურია.

სტრატეგიული მიმართულება II - სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობა

ამოცანა: კვლევის პროფილის შესაბამისი შიდა საგრანტო კონკურსის რეგულარულად ჩატარება.

სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტს დაგეგმილი აქვს 2018 წლის დასაწყისში გამოაცხადოს კვლევის პროფილის შესაბამისი შიდა საგრანტო კონკურსი, სადაც მონაწილეობის მიღების უფლება ექნება როგორც ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს, ისე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელიც ისარგებლებს პროექტის თანაავტორის უფლებით. წარმოდეგნილი პროექტების ავტორ(ებ)მა/თანაავტორ(ებ)მა უნდა გაითვალისიწნონ, რომ სავალდებულო მოთხოვნა იქნება კვლევებში სტუდენტების ჩართულობა.

შედეგი: რეგულარულად ტარდება კვლევის პროფილის შესაბამისი შიდა საგრანტო კონკურსი, სადაც აქტიურად არიან ჩართული როგორც აკადემიური პერსონალი, ისე სტუდენტები.

ამოცანა: პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა ჩართულობის ამაღლების ხელშეწყობა სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებსა და საგრანტო კონკურსებში

სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტზე დეკანის ერთ-ერთ მოადგილეს დაევალება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზება, რომელიც ვალდებული იქნება სისტემატიურად მოიძიოს ინფორმაცია საერთაშორისო და ეროვნული დონის როგორც საგრანტო კონკურსების, ისე სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების შესახებ და მიაწოდოს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს. ამასთან, ფაკულტეტი გააგრძელებს აკადემიურ პერსონალის საერთაშორისო მივლინებების ნაწილობრივ დაფინანსებას და იღებს ვალდებულებას კვლევის პროფილის შესაბამისი პროექტების თანადამფინანსებელიც იყოს.

ასევე, აკადემიური პერსონალის მიერ დაგეგმილ კვლევევებში სტუდენტების აქტიურად ჩართვის მიზნით, დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში და პროგრამის ხელმძღვანელები

სტუდენტებთან სხვადასხვა სახის აქტივობებს განახორციელებენ, კერძოდ ეკონომიკის დეპარტამენტთან არსებული „საქართველოს ეკონომიკური პრობლემებისა და ქართული ეკონომიკური აზრის შემსწავლელი სტუდენტთა მუდმივმოქმედი სემინარის“ მსგავსად სხვა დეპარტამენტებშიც ჩამოყალიბდება სტუდენტთა სამეცნიერო წრეები და ყოველწლიურად ჩატარდება როგორც საუნივერსიტეტთაშორისი, ისე საერთაშორისო კონფერენციები.

სამაგისტრო პროგრამების სასწავლო „ნაწილში“ ჩაისმება კვლევის კომპეტენციების მქონე შესაბამისი სასწავლო კურსი, რომელიც მაგისტრანტებს განუვითარებს კვლევის უნარებს და მიცემს შესაძლებლობა სწარმატებით დაასრულოს პროგრამის კვლევითი ნაწილი - სამაგისტრო ნაშრომი.

შედეგი: ფაკულტეის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ჩართული არიან საერთაშორისო და ეროვნული დონის სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებსა და საგრანტო კონკურსებში.

ამოცანა: ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება ფაკულტეტის კვლევითი პროფილის ფარგლებში.

სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტი ამჟამად აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი პროექტების განხორციელებაზე, კერძოდ შთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესი და ეკონომიკის ფაკულტეტთან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების და საინჟინრო ეკონომიკურ ფაკულტეტებთან, კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის სახელნმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტთან.

გარდა აღნიშნულისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში 2018 წ. დაიწყებს კვლევას **„იმერეთის რეგიონის საინვესტიციო რუკის შექმნის“** პროექტზე.

შედეგი: ფაკულტეტზე ხორციელდება კვლევის პროფილის შესაბამისი ერთობლივი კვლევევები.

ამოცანა: მიზნობრივი კვლევების განხორციელება პოტენციურ კლიენტებთან აქტიური კამპანიების ჩატარებით.

სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტს შესწევს უნარი და ფინანსური შესაძლებლობა აწარმოოს მოლაპარაკებები და შეთავაზოს იდეები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მიზნობრივი კვლევევის ჩატარების შესახებ. კონკრეტული დაკვეთების მიღების შემთხვევაში მზად არის, სტუდენტების ჩართულობით განახორციელოს კვლევები.

შედეგი: ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაკვეტით ახორციელებენ მიზნობრივ კვლევებს.

ამოცანა: აკადემიური პერსონალის მიერ ინტერდისციპლინალური კვლევების დაგეგმვა.

სამოქმედო გეგმა: ბიზნესის განვითარება საქართველოში იძენს ახალ მასშტაბებს სხვადასხვა მიმართულებით, ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა დარგებში. ამ სფეროებში ბიზნესის ადმინისტრირებისტვის აუცილებელია ინტერდისციპლინური კვლევების დაწყება და გააქტიურება. ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტს დაგეგმილი აქვს აწარმოოს ინტერდისციპლინარული კვლევები ჯანდაცვის ორგანიზაციის და მოსახლეობის მორალური ქცევის მიმართულებით, შესაბამისად, სამედიცინო ფაკულტეტის და სამართლის დეპარტამენტის აკადემიურ პერსონალთან ერთად.

ფირმებში საწარმოო პროცესების სრულყოფის მიზნით, 2018 წ. დაგეგმილია საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის აკადემიურ პრსონალთან ერთად, კონკრეტული სამეურნეო სუბიექტების მაგალითზე.

შედეგი: ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ ინტერდისციპლინარული კვლევევის განხორციელება.

ამოცანა: აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება.

სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მაღალი რეიტინგის ჟურნალების მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის წვდომას აკადემიური პრსონალისთვის, მათ მიერ ჩატარებული გამოსაქვეყნებლად. ამასთან, ფაკულტეტი მზად არის, მიზნობრივად განიხილოს მათი დაფინანსების საკითხი.
შედეგი: იზრდება აკადემიური პრსონალის ცნობადობა და მოტივაცია.

სტრატეგიული მიმართულება III - ინტერნაციონალიზაცია

ამოცანა: ერასმუს + პროექტებში აკადემიური პერსონალის ჩართულობის ხელისშეწყობა როგორც მათი უცხოენოვანი კომპეტენციების ზრდით, ასევე უცხოენოვანი კომპეტენციების მქონე კადრების მოზიდვით.

სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტის ადმინისტრაცია მზად არის დააფინანსოს აკადემიური პერსონალის მიერ უცხო ენის კომპეტენციების ზრდის შესაბამისი კურსები. ასევე, ფაკულტეტი აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს უცხო ენის მცოდნე მის კურსდამთავრებულებთან, რომლებიც სპეციალობის შესაბამისად არიან დასაქმებული და სწავლობენ როგორც ქვეყის შიგნით, ისე საზღვარგარეთ სადოქტორო პროგრამებზე.

შედეგი: ფაკულტეტზე გაზრდილია უცხო ენის მცოდნე პერსონალის რაოდენობა, შესაბამისად, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში/პროექტებში მატი აქტიური ჩართვაც.

ამოცანა: ერასმუს + პროექტებში სტუდენტების ჩართულობის ზრდა.

სამოქმედო გეგმა: ყოველ სემესტრულად ბიზნესის ადმინისტრირების და სამართლის თითო სტუდენტი მონაწილეობს ერასმუს + პროექტის ფარგლებში არსებულ გაცვლით პროგრამაში. ამასთან, ლიდერობა და უმაღლესი განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე ყოველსემესტრულად 3-5 სტუდენტი ირიცხება. თუმცა, ფაკულტეტი გეგმავს მეტი სტუდენტი ჩართოს ერასმუს + პროექტებში.

შედეგი: გაზრდილია ერასმუს + პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა.

ამოცანა: უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების მოწვევა საჯარო ლექციების წასაკითხად.

სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტი აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს კიევის ტარას შევჩენკოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტთან, კრაკოვის ეკონომიკურ ინსტიტუტთან და ჩეხეთის ბატას უნივერსიტეტთან სპეციალისტების მოწვევის შესახებ. ამასთან, მზად არის დააფინანსოს არა მარტო მათი ვიზიტი საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნის პროფესორ-მასწავლებლის (მინიმუმ 4 პროფესორის ვიზიტი წელიწადში).

შედეგი: უცხოელი სპეციალისტების მიერ საჯარო ლექციების წაკითხვა.

სტრატეგიული მიმართულება IV - სოციალური პასუხისმგებლობა

ამოცანა: მედიაციის კლინიკის ამოქმედება/ფუნქციონირება.

სამოქმედო გეგმა: სამართლის დეპარტამენტთან ფუნქციონირებს იურიდიული კლინიკა, რომელიც უფასო სამართლებრივ კონსულტაციებს უწევს, მოსახლეობას კერძო დავების მიმართულებით. 2018 წლიდან დაგეგმილია ამოქმედდეს უკვე თსუ-ს მხარდაჭერით დაფუძნებული მედიაციის კლინიკა, რომელიც ასევე იმოქმედებს კერძო დავების გადაწყვეტა/მოგვარების მიმართულებით დაინტერესებულ პირებს.

შედეგი: გაზრდილია სოციალური პასუხისმგებლობა.

ამოცანა: ბიზნესსაკონსულტაციო ცენტრის დაარსება და ფუნქციონირება.

სამოქმედო გეგმა: ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი მზად არის დაარსოს და უფასო კონსულტაციები გაუწიოს ბიზნესის დაწყებით და მართვით დაინტერესებულ პირებს.

შედეგი: ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტთა შექმნილია და ფუნქციონირებს ბიზნეს-საკონსულტაციო ცენტრი; გაზრდილია რეგიონის ინტერესებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით სოციალური პასუხისმგებლობა.

ამოცანა: უფასო თემატური სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა.

სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტი გეგმავს უფასო თემატური სკოლის ფარგლებში სოციალურად დაუცველი და დაბალშემოსავლიანი ოჯახების შვილები მოამზადოს „სამოქალაქო განათლებაში" ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მისაღებად.

შედეგი: უზრუნველყოფილია იმერეთის რეგიონის სოციალურად დაუცველების და დაბალშემოსავლიანი ოჯახის შვილების უფასო მომზადება სამოქალაქო განათლებაში.

ამოცანა: აკადემიური პერსონალის და სტუდენტების ჩართულობა საქველმოქმედო ღონისძიებებში.

სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტი მზად არის საჭიროების შესაბამისად მოაწყოს სხვადასხვა ტიპის საქველმოქმედო ღონისძიებები.

შედეგი: აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ჩართული არიან საქველმოქმედო ღონისძიებებში.

სტრატეგიული მიმართულება V - სტუდენტთა შემეცნებითი ღონისძიებები

ამოცანა: სტუდენტური პროექტის - „forexman"-ის ყოველწლიური ჩატარება.

სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტი მზად არის 2018 წლის ივლის-აგვისტოში დააფინანსოს სტუდენტთა შემეცნებითი და დასაქმენბაზე ორიენტირებული პროექტი forexman", რომელიც ითვალისიწნებს საერთაშორსიო სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის წესების სწავლებას და გამარჯვებულის პარტნიორ საბროკერო კომპანიაში (HD forex საბროკერო კომპანია https://hdforex.com/ka/)) დასაქმებას. პროექტში მონაწილეობას მიიღებს ბიზნესის ადმინისტრირების და ეკონომიკის საგანამანათლებლო პროგრამის როგორც აწსუ-ს, ისე კიევის ტარას შევშენკოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის 25 სტუდენტი.

შენიშვნა: აღნიშნული პროექტი განხორციელდა 2016 წლის იანვარ-თებერვალში და გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ როგორც ფულადი პრემიით, ისე დასაქმედნენ სხვადასხვა საბროკერო კომპანიაში.

შედეგი: სტუდენტებს ეცოდინებათ საერთაშორისო სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის წესები, შეეძლებათ დემო ანგარიშებით ვაჭრობა როგორც ქართველ, ისე უკრაინელ პარტნიორებთან ერთად. გამარჯვებული დასაქმდება HD forex საბროკერო კომპანიაში.

ამოცანა: დამსაქმებლების დაკვეთით პროექტ „მარკეტინგული ომის" ჩატარება.

სამოქმედო გეგმა: მარკეტინგის მოდულის სტუდენტების მიერ განხორციელდება პროექტი, რომელიც ითვალისწინებს პოტენციურ დამსაქმებლებთან დაკავშირებას და მათთვის სარეკლამო რგოლების მომზადებას. სარეკლამო რგოლებს მოამზადებს რამოდენიმე გუნდი და თვით დამსაქმებელი სპეციალისტებთან ერთად შეარჩევს ყველაზე საუკეთესოს. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს დამსაქმებლებთან მჭიდრო კავშირის დამყარების საფუძველზე სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას და პროექტში მონაწილე დამსაქმებლის საქმიანობის საზოგადოებისთვის უფრო მეტ ცნობადობას.

შედეგი: მარკეტინგის მოდულის სტუდენტებს შეუძლიათ ბაზარზე ორიენტირებული სარეკლამო რგოლების გაკეთება.

ამოცანა: პროექტ „ლიდერის" ყოველ მეორე წელს ჩატარება.

სამოქმედო გეგმა: ფაკულტეტზე ხორციელდებოდა სტუდენტური პროექტი „ლიდერი", რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკის და ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი და დამატებითი საგანამანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარებას. პროექტი არის 1 თვიანი, რომელიც ტარდება ძირითადად ზაფხულის არდაგეგების პერიიოდში. პროექტის მონაწილეებს ეძლევათ სხვადასხვა ტიპის დავალებები, რომლებიც როგორც გუნდურ, ისე ინდივიადუალური წესით შესრულებას ავალდებულებს.

შედეგი: იზრდება სტუდენტთა პრაქტიკული უნარჩვევები და მათი მოტივაცია

ამოცანა: სტუდენტთა ინოვაციური პროექტების ჩატარება.

სამოქმედო გეგმა: სტუდენტების იდეების გენერირების საფუძველზე შეირჩევა მათ მიერ წარმოდგენილი ინოვაციური პროექტ(ებ0ი და მოხდება დაფინანსება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

შედეგი: ინოვაციური პროექტების განხორციელება სტიდენტების მონაწილეობით.

ამოცანა: სტუდენტთა შემეცნებითი ვიზიტი საჯარო და კერძო სექტორში.

სამოქმედო გეგმა: პროგრამის ხელმძღვანელების მიერ პერიოდულად დაიგეგმება შემეცნებითი ვიზიტები როგორც სამთავრობო, ისე კერძო სექტორში, კერძოდ: იუსტიციის სახლი, პარლამენტი, პრეზიდენტის აპარატი, სააპელაციო სასამართლო, საქართველოს ეროვნული ბანკი, ფულის მუზეუმი, სს „ვითიბი ბანკი საქართველო", სს „კოკა კოლა", შპს „ზედაზენი" და სხვა. შემეცნებითი ვიზიტი ითვალისწინებს დასაქმების ობიექტების ადგილზე დათვალიერებას და მოკლე ექსკურს მათი საქმიანობის შესახებ. ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელი გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს, რომელსაც უნაწილებს სტუდენტებს და ისინი აწარმოებენ ჩანახატებს ან ჩანაწერებს. აღნიშნულის გაანალიზება მოხდება პრაქტიკულ მეცადინეობაზე.

შედეგი: დასაქმების ობიექტების საქმიანობის ადგილზე გაცნობა.

ამოცანა: იმიტირებული სასამართლო პროცესის მოწყობა.

სამოქმედო გეგმა: სამართლის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით 2018 წ. ჩატარდება ეროვნული დონის პროექტი/კონკურსი იმიტირებული სასამართლო პროცესში, საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით, რომლის პარტნიორები იქნება საქართველოს საერთო სასამართლო, საქართველოს პროკურატურა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან.

შედეგი: სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარება და მოტივაციის ზრდა.